ქართული ეკონომიკა გლობალური საფრთხეების წინაშე

ჟურნალი “ბიზნეს ნიუსი” – № 8, აგვისტო სექტემბერი, 2008

იმის შესახებ, თუ როგორი სტრატეგია აქვს აღებული საქართველოს ხელისუფლებას ახალი გლობალური რეალიების პირობებში, საქართველოს სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების ფონდის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, პროფესორი ლადო პაპავა Business News–ს ესაუბრა.

– რა გახდა ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკური პრობლემების გამომწვევი მიზეზი და როგორია, თქვენი აზრით, მოვლენათა განვითარების ყველაზე რეალისტური სცენარი?

– მსოფლიო ფინანსური კრიზისის წინაშე რეალურად დგას და ამ ვითარებას საფუძველი ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩაეყარა. ამერიკელი ანალიტიკოსები სერიოზულად სწავლობენ შექმნილ მდგომარეობას და მის გამომწვევ რამდენიმე მიზეზზე მიუთითებენ. მათ შორის ერთ-ერთი იპოთეკურ ბაზარზე განვითარებული მოვლენებია, როდესაც ეკონომიკური აღმავლობის გზაზე მდგარმა აშშ-ს მოქალაქეებმა მასობრივად დაიწყეს იპოთეკური სესხებით სარგებლობა. ამან უძრავი ქონების ბაზარზე ფასების ნახტომისებური ზრდა გამოიწვია. მოგვიანებით, ეკონომიკური ზრდის ტემპების კლების კვალობაზე, გაიზარდა უმუშევრობა და ხსენებული კრედიტების არაერთი მომხმარებელი მალე სერიოზული პრობლემის წინაშე დადგა: მათ სესხის დაფარვის შესაძლებლობა აღარ ჰქონდათ. კრიზისში, ჯაჭვური რეაქციის შედეგად, ბანკებიც აღმოჩნდნენ ჩათრეულნი: იპოთეკაში ჩადებული უძრავი ქონება მათ ხელში გადავიდა, მაგრამ მისი გაყიდვით აღებული თანხები გაცემულ სესხს ვერ ფარავდა.

ერთ-ერთი ძირეული მიზეზი, რომელმაც აშშ-ს ეკონომიკა ასეთ ვითარებამდე მიიყვანა, არის მისი მილიტარიზაცია ერაყსა და ავღანეთში წარმოებული სამხედრო კამპანიების გამო. დოლარის გაუფასურების შედეგად,

არაერთმა ევროპულმა კომპანიამ დაკარგა სერიოზული შემოსავლები. ეს ბუნებრივიცაა – ფინანსური კრიზისი ამერიკული ეკონომიკის ფარგლებში ვერ დარჩებოდა. თუმცა, დოლარის კრახს, რომლის სცენარიც რუსეთში არის შექმნილი, აბსოლოტურად გამოვრიცხავ. იგი რამდენიმე ფაქტორის გამოა შეუძლებელი: მსოფლიოს არაერთ, დიდ თუ მცირე სახელმწიფოს საკუთარი აქტივები დოლარებში აქვს. ასევე დოლარებში აქვთ აქტივები მძლავრ კორპორაციებს. ასე რომ, დოლარის კრიზისი კატასტროფა იქნებოდა არა მხოლოდ ამერიკის, არამედ მსოფლიოს სხვა სახელმწიფოებისა და კორპორაციებისთვის. აქედან გამომდინარე, ეს უკანასკნელნი არასდროს დაუშვებენ დოლარის კრახს და არ იტყვიან მასზე უარს, როგორც ეს რუსულ სცენარშია გაწერილი.

– როდის წარმოიშვა რუსეთში ფინანსურ ცენტრად ქცევის ამბიცია და რას ეფუძნება იგი?

– ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკის კრიზისისა და ამერიკული დოლარის კრახის რუსული სცენარი სათავეს ორიათასიანი წლების დასაწყისიდან იღებს. მას, პრაქტიკულად, დოკუმენტის სახე აქვს, დეტალებშია გაწერილი და ფართო საზოგადოებისთვის, კარგა ხანია, ცნობილია. სცენარის თანახმად, გლობალურ ფინანსურ კატაკლიზმებს მსოფლიოს ორად-ორი სახელმწიფო – რუსეთი და ჩინეთი გადაურჩება. რუსეთის ეკონომიკის ასეთი დამაიმედებელი პროგნოზი, ცხადია, მის ბუნებრივ სიმდიდრეს და, კერძოდ, ენერგეტიკულ პოტენციალს ემყარება.

რაც შეეხება მედვედევის განცხადებას მოსკოვის გლობალურ ფინანსურ ცენტრად გადაქცევის შესახებ, ამაში მოულოდნელი არაფერია. შეგახსენებთ, რომ ამა წლის დასაწყისში საქართველოს მთავრობა პარლამენტში შევიდა კანონპროექტის პაკეტით, ქვეყნის მსოფლიო საფინანსო ცენტრად ქცევის თაობაზე. თუ საქართველოს აქვს ამის ამბიცია, რატომ უნდა გვიკვირდეს, რომ მსგავს პრეტენზიას უზარმაზარი ენერგორესურსების მქონე რუსეთიც აცხადებდეს?

აღნიშნული სცენარის "ტექნიკური მხარის" მიხედვით, კორპორაციები და სახელმწიფოები, შექმნილი კრიზისის გამო, აშშ-ს მის დოლარებს "მიუყრიან" და ჰიპერინფლაციაც არ დააყოვნებს. მაგრამ, როგორც აღვნიშნე, ეს სრულიად არარეალისტური სცენარია, რადგან, მთელი მსოფლიო რომ ამ გზას დაადგეს, ეს ქვეყნები, უბრალოდ, ვერ მოასწრებენ თავიანთი აქტივების

დოლარიდან სხვა ვალუტაში გადატანას და გაკოტრდებიან. ეს ყველგან კარგად იციან, მათ შორის – რუსეთში.

რაც შეეხება დოლარის მომავალს, მისი პროგნოზები საკმაოდ დამაიმედებელია: ექსპერტები მიუთითებენ, რომ მისი გამყარება 2011 წლიდან დაიწყება, ხოლო ერთი ბარელი ნავთობი გაიაფდება და 75 დოლარი გახდება. სხვათა შორის, ამ პროგნოზს რუსეთის ფედერაციის ფინანსთა მინისტრი ალექსეი კუდრინიც იზიარებს.

მსოფლიოში მიმდინარეობს სერიოზული დაპირისპირება პირველობისთვის. ამ ბრძოლაში სტაბილურად გამოიყურება ევროზონა. რუსეთი კი თავისი შეჩერებული რეფორმებითა და არაკონვერტირებადი რუბლით არცთუ სახარბიელოდ ჩანს. თუმცა, იგი ხელიდან არ უშვებს შანსს, ისარგებლოს ამერიკის ეკონომიკის წაბორძიკებით და ლიდერობის ამბიციები დაიკმაყოფილოს.

– საქართველოს ხელისუფლება ხშირად აკეთებს აქცენტს გლობალურ ეკონომიკურ პრობლემებზე. ხომ არაა ეს ერთგვარი პრევენცია იმ შემთხვევისთვის, თუ მთავრობა ვერ გასწევს ეფექტურ მუშაობას ინფლაციური პროცესების შესაჩერებლად?

– ვერ გეტყვით. თუმცა, ფაქტია, რომ მსოფლიოში არის მაღალი ინფლაცია და, შესაბამისად, მაღალი ინფლაცია გაგრძელდება საქართველოშიც. ცუდი ის იქნება თუ მთავრობა, თავისი ნაბიჯებით, ამ პროცესის გაღრმავებას შეუწყობს ხელს. დაახლოებით ორი თვის წინათ, პრემიერ-მინისტრმა ვლადიმერ გურგენიძემ გააკეთა განცხადება იმის თაობაზე, რომ, მსოფლიოში მიმდინარე კრიზისის გამო, საქართველოში შემოდგომაზე ინფლაციის მაღალი ტემპებია მოსალოდნელი. ბატონმა გურგენიძემ სიმართლის მხოლოდ ერთი ნაწილი თქვა – ის, რაც გლობალურ პრობლემებს უკავშირდება, მაგრამ მეორე ნაწილი, რომელიც საქართველოს მთავრობის შეცდომებს ეხება, მას არ უხსენებია.

ჩემი აზრით, დღევანდელ სიტუაციაში ამ საკითხების მოგვარებაში ეროვნული ბანკი მაქსიმალურად უშეცდომოდ მოქმედებს, თუმცა, მას ფეხს ვერ უწყობს მთავრობა, რომელიც ინფლაციური დატვირთვის მქონე ხარჯებს სწევს. ფიგურალურად რომ ვთქვათ, საქართველოს ეკონომიკა დღეს ცალ ფეხზე დგას. მეორე ფეხიც რომ "გაიშალოს", მთავრობამ გაუთვალისწინებელი სოციალური პროგრამების დაფინანსება უნდა შეწყვიტოს. მას უნდა ახსოვდეს,

რომ სამომხმარებლო ბაზარზე გასული ყოველი დამატებითი ლარი ფასების ზრდას უწყობს ხელს. უნდა დაფინანსდეს მხოლოდ ის პროექტები, რომელთა ვალდებულება სახელმწიფო ბიუჯეტშია დაფიქსირებული. მესმის, რომ არაპოპულარულ აზრს გამოვთქვამ, მაგრამ სხვა არჩევანი არ გვაქვს.

მაია ბუთბათია